ხელშეკრულება №3

ქ. ბათუმი დიდაჭარის ქუჩა N23

ერთის მხრივ ,,შემსყიდველი" ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური" ს/კ 248433627 , მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23, მისი დირექტორის სულხან ვერძაძის სახით და მეორეს მხრივ ,,მიმწოდებელი" **შ.პ.ს ,,სანდასუფთავება"** ს/კ 245548153, წამოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა გათვალისწინებით (მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტი), **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV კოდი 90900000 – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლების სარდაფების და სადარბაზოების დეზინსექცია, თვეში ერთჯერ მაისი - ოქტომბერი (15ობ. X 6 თვე) მთლიანი ღირებულება **2070 ლარი, სულ 4600 კვ.მ, 1მ2 -0,45 ლარი** და მრავალსართულიანი სახლების სარდაფების და სადარბაზოების დერატიზაცია, თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად (15ობ. X 10 თვე) მთლიანი ღირებულება **1470 ლარი, სულ 5250 მ2, 1მ2- 0,28 ლარი** და CPV კოდი 90900000 – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურება, კერძოდ: დერატიზაცია და დეზინსექციის ჩატარება 11 თვე, დაწყებული თებერვლის თვიდან **- 1320 ლარი,**მათ შორის დერატიზაცია 660 ლარი და დეზინსექცია 660 ლარი, (დერატიზაცია - 1მ2 – 0,28 ლარი, დეზინსექცია - 1მ2 – 0,45 ლარი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს **4860** (ოთხიათას რვაას სამოცი) ლარს;

2.2.ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ,,მიმწოდებლის" ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

2.3. მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული სასაქონლო ზედნადების თანახმად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა (სასაქონლო ზედნადები / ანგარიშ-ფაქტურა) და მომსახურების მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.3 მომსახურების გაწევა განხორციელდეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

შენიშვნა: მიმწოდებელი ვალდებულია შესასრულებელი სამუშაოები შეასრულოს მერის შესაბამისი წარმომადგენლის თანდასწრებით, რომელიც სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტს დაადასტურებს ხელისმოწერით.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 სამუშაოები ითვლება მომწოდებლის მიერ მოწოდებულად და ,,შემსყიდველზე" ჩაბარებულად შესრულებული სამუშაოების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.2 მოწოდებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის შემოწმება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შეკეთების და საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

8. ფორს მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორსმაჟორი). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 10 თებერვლამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი”:

ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური”
ს/ნ 248433627
მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23

Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri

Digitally signed by Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri
Date: 2020.01.10 07:20:00 -01'00'

დირექტორი **სულხან ვერძაძე**

,,მიმწოდებელი”:

შ.პ.ს ,,სანდასუფთავება”
ს/კ 245548153

შპს „ვითიბი ბანკი ჯორჯია”

ა/ა GE76VT5500000000053402 GEL

ბანკის კოდი - UGBGE22

დირექტორი **დავით დუმბაძე**

ხელწერილი

ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის” დირექტორის ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

მე, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის” დირექტორი სულხან ვერძაძე ვადასტურებ, რომ შპს „სანდასუფთავება” -ს თან ს/კ 245548153 გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” 8-ე მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დირექტორი სულხან ვერძაძე

Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri

Digitally signed by Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri
Date: 2020.01.10 07:19:22 -01'00'